ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის
დასკვნა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

კომისიამ განიხალა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9დადგენილებაშიცვლილებისშეტანისთაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრ აციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულები პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

1. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუხლი 2. შემოსულობების სახით არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში ნაჩვენებია 500 ათასი ლარი. გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, შესაბამისი ნორმატიული აქტები, ან აგვიხსნათ, თუ რის საფუძველზე იქნა შესაბამისი თანხა ბიუჯეტში ასახული;

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა ხანდაზმულია, არარის ხშირი ახალ მოსახლეობის შემთხვევები. ამ პროცესის სტიმულირებისთვის, ხომ არ არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტმა შეისყიდოს, ორი - სამი საცხოვრებელი სახლის ტიპიური პროექტი, მსურველებს საჩუქრად გადაეცემა, რომლის საერთო ღირებულება 15000 ლარზე მეტი არ იქნება.

3. გათვალისწინებულია თუ არა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სამხატვრო სკოლის შენობების რეაბილიტაციისთვის საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად საჭირო სახსრები.